



მთარგმნელები/თარჯიმნები (T/Is), რომლებიც კონტრაქტით მუშაობენ კონფლიქტის ზონებში, ხშირად არ არიან პროფესიონალი ლინგვისტები, მაგრამ ისინი ასრულებენ საკვანძო როლს კომუნიკაციის დამყარებაში. ისინი მუშაობენ მაღალი რისკის მქონე პირობებში და უკიდურესად დაუცველნი არიან, საჭიროებენ განსაკუთრებულ დაცვას კონფლიქტის დროს და მის შემდგომ პერიოდში. მთარგმნელობითი მომსახურების მომხმარებლებს გათვითცნობიერებული უნდა ქონდეთ პასუხისმგებლობა მთარგმნელების/თარჯიმნების წინაშე და მათი მუდმივად დაცვის აუცილებლობა. ამავე დროს, მთარგმნელებმა/თარჯიმნებმა უნდა იცოდნენ თავიანთი უფლებები და ასევე უნდა დაიცვან პროფესიული სტანდარტები და ეთიკა მათი უსაფრთხოების ასამაღლებლად და პოზიციის განსამტკიცებლად.

ეს დოკუმენტი წარმოადგენს ძირითადი უფლებების, პასუხისმგებლობის და პრაქტიკის სახელმძღვანელოს, რომელსაც საკონფერენციო თარჯიმანთა საერთაშორისო ასოციაცია (AIIC), თარჯიმანთა საერთაშორისო ფედერაცია (FIT), და Red T რეკომენდაციის სახით ურჩევს მთარგმნელებს/თარჯიმნებს და მათი მომსახურების მომხმარებლებს. ის ვრცელდება მთარგმნელებზე/თარჯიმნებზე, რომლებიც მსახურობენ, როგორც სავლე თარჯიმნები შეიარაღებული ძალებისთვის, ჟურნალისტებისთვის, არასამთავრობო ორანიზაციებისთვის (NGOs), და სხვა ორგანიზაციებისთვის კონფლიქტის ზონებში.

მთარგმნელებისთვის/ თარჯიმნებისთვის

უფლებები

დაცვა

თქვენ გაქვთ დაცვის უფლება, როგორც დანიშნულების დროს, ასევე მის შემდეგ. საჭიროების შემთხვევაში, ეს ასევე უნდა ვრცელდებოდეს თქვენს ოჯახზე. თქვენ უნდა იყოთ უზრუნველყოფილი დამცავი ტანსაცმლით და აღჭურვილობით, მაგრამ არა იარაღით. როგორც სამოქალაქო პირს, თქვენ არ მოგეთხოვებათ ატაროთ ფორმა თქვენი სურვილის გარეშე. თქვენთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარება. დანიშნულებამდე, უნდა გაიაროთ ტრენინგი უსაფრთხოებაში და საგანგებო ვითარებაში.

მხარდაჭერა

მთელი თქვენი დანიშნულების განმავლობაში გაქვთ უფლება მიიღოთ მხარდაჭერა, ანუ გქონდეთ შესაბამისი პირობები ველზე ან ბაზაზე.

შეზღუდვები

თქვენი როლის შეზღუდვები მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული. უფლება გაქვთ უარი განაცხადოთ დავალების შესრულებაზე, რომელიც არ შეესაბამება თქვენს პროფესიულ ან პირად სტანდარტებს ან ეთიკას და/ან ემოქურება თქვენს უსაფრთხოებას.

ინსტრუქციები

თქვენ უნდა იყოთ ინფორმირებული თქვენი დანიშნულების ზოგად და კონკრეტულ პირობებზე.

პირობები

უფლება გაქვთ მიიღოთ ანაზღაურება და სხვა სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ასახავენ სახიფათო პირობებს. სამუშაო საათები უნდა იყოს გონივრული და გათვალისწინებული უნდა იყოს პერიოდული შესვენებები.

პასუხისმგებლობა

მიუკერძოებლობა

მიუხედავად იმისა, თუ ვინ დაგიქირავათ, ყველა მხარეს თანაბრად უნდა ემსახუროთ თქვენი აზრის გამთქმის ან სიმპათიების გამოხატვის გარეშე. თქვენ არ შეიძლება დაიჭიროთ ვინმეს მხარე და უნდა განაცხადოთ ნებისმიერი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ.

კონფიდენციალურობა

კონფიდენციალურად შეინახეთ ინფორმაცია, რომელიც თქვენთვის გახდა ცნობილი ნებისმიერი მხარისგან მუშაობის პროცესში. არავის არ გაუმჟღავნოთ ის პირადი საჩუქრების მიზნით.

სიზუსტე

მაქსიმალურად ზუსტად გადაეცით ყველა მხარის ნათქვამი. ამისთვის...

- შეისწავლეთ თარჯიმნისთვის საჭირო ძირითადი უნარები, მაგალითად, ნათქვამის ყურადღებით მოსმენა, ნათქვამის სხვა ენაზე ზუსტად გადაცემა, იყოს სენსიტიური კულტურული ნუანსების და ასევე არავერბალური მინიშნებების მიმართ.
- მოემზადეთ დანიშნულებისთვის და შეისწავლეთ სპეციალური ლექსიკა, აკრონიმები, ჟარგონი და ა.შ. აითვისეთ აქცენტები, შესტები, ჩვევები და ა.შ.
- გააკეთეთ ჩანაწერები, რომლებიც დაგეხმარებათ დამახსოვრებაში.
- არ შეასწოროთ და არ შეცვალოთ გამომსვლელების მიერ გადმოცემული ინფორმაცია.
- საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვეთ დაზუსტება, რომ გამომსვლელებმა შეანელოს ტემპი, ან ანიშნეთ გამომსვლელებს, რომ ვერ გაიგეთ მისი ნათქვამი.

მთარგმნელობითი მომსახურების მომხმარებლებისთვის

უფლებები

უფლება გაქვთ მიიღოთ თქვენი ნათქვამის ზუსტი თარგმანი. ქვემოთ მითითებული პასუხისმგებლობების შესრულებით, თქვენ დახმარებას გაუწევთ მთარგმნელს/თარჯიმანს აღნიშნული მიზნის მიღწევას.

პასუხისმგებლობა

პატივისცემა

მთარგმნელები/თარჯიმნები უზრუნველყოფენ კავშირს თქვენსა და იმ ქვეყნის მოსახლეობის შორის, რომელშიც თქვენ მუშაობთ. პატივისცემით მოექცეით მთარგმნელებს/თარჯიმნებს და ისინი პატივისცემით მოექცევიან თქვენ. შეიძლება დაწესდეს რანჰირება, მაგრამ ის არ უნდა იყოს ბოროტად გამოყენებული.

დაცვა

თქვენთვის მომსახურების გაწევის დროს მთარგმნელები/თარჯიმნები შეიძლება იმყოფებოდნენ რისკის ქვეშ. მიუხედავად იმისა, გაქვთ თუ არა სახელმწიფოებო ვალდებულება, დაიცავით ისინი და, საჭიროების შემთხვევაში, მათი ოჯახები, დანიშნულების დროს და მის შემდგომ პერიოდში.

- არ შეიარაღოთ ისინი.
- უზრუნველყავით ისინი დამცავი ტანსაცმით და აღჭურვილობით, მაგრამ არ მოსთხოვოთ ფორმის ტარება მათი სურვილის გარეშე.
- არ გამოაქვეყნოთ მთარგმნელების/თარჯიმნების სახელები, მისამართები ან სურათები მათი ნებართვის გარეშე.

მხარდაჭერა

მხარი დაუჭირეთ თქვენს მთარგმნელებს/თარჯიმნებს მათთვის სათანადო პირობების შექმნით საველე პირობებში და ბაზაზე. გაითვალისწინეთ მათი საჭიროებები და პრობლემები.

როლის განსაზღვრა

მკაფიოდ განსაზღვრეთ მთარგმნელის/თარჯიმნის როლი. განუმარტეთ სამუშაო მოთხოვნები და პასუხისმგებლობის ჯაჭვი. ზოგადად, არ მისცეთ დავალებები, რომლებიც არ არის დაკავშირებული თარგმანთან და გაითვალისწინეთ, რომ მთარგმნელს/თარჯიმანს უფლება აქვთ განაცხადონ უარი ასეთი დავალების შესრულებაზე, თუ ის არ შეესაბამება მათ პროფესიულ ან პირად სტანდარტებს და ეთიკას ან/და უსაფრთხოებას.

დაგეგმვა

ზეპირი თარგმანი მოითხოვს კონკრეტული, რომლის შენარჩუნება რთულია კონფლიქტურ სიტუაციებში. შეათანხმეთ სამუშაო და შესვენების საათები და ა.შ. მთარგმნელის/თარჯიმნის მომსახურებით სარგებლობის დროს გაითვალისწინეთ დამატებითი დრო და სხვა ლოგისტიკური მოთხოვნები.

ინსტრუქციები

თითოეულ დანიშნულებამდე ჩაუტარეთ მთარგმნელს/თარჯიმანს მოკლე ზოგადი და კონკრეტული ინსტრუქტაჟი კონტექსტთან და მიზანთან დაკავშირებით. განუმარტეთ სპეციალური ლექსიკა, აკრონიმები, ჟარგონი და ა.შ.

შეფასება

თუ საჭიროა მთარგმნელის/თარჯიმნის შეფასება, იყავით სამართლიანი და გამოიყენეთ შესაბამისი შეფასების სისტემა. შეამოწმეთ, ზუსტად იყო თუ არა გადაცემული შინაარსი, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ზეპირი თარგმანის ქვეშ არ იგულისხმება სიტყვა სიტყვით თარგმნა და თქვენი ტექსტი გამართული უნდა იყოს. კრიტიკული შენიშვნები უნდა გაკეთდეს პირადი საუბრის დროს. ჯილდოები, რეკომენდაციები და ა.შ. უბნა იყოს უზრუნველყოფილი საჭიროების შემთხვევაში.

როგორ ვიმუშაოთ მთარგმნელებთან/თარჯიმნებთან

განლაგება

განთავსდით თქვენ, თარჯიმანი და მეორე მხარე სამკუთხედის ფორმით. დარწმუნდით, რომ თქვენ, თარჯიმანი და მეორე მხარე ერთმანეთს ხედავთ და ერთმანეთის გესმით. წარადგინეთ თქვენი თავი და თარჯიმანი, განმარტეთ თარჯიმნის როლი. ესაუბრეთ და უყურეთ მეორე მხარეს, არა თარჯიმანს.

საუბარი

თარჯიმანი ელოდება თქვენ ნათქვამს და თარგმნის პაუზის დროს. ინფორმაციის რაოდენობა, რომელიც თარჯიმანს შეუძლია დაიმსახუროს და ზუსტად თარგმნოს, დამოკიდებულია მისი უნარების დონეზე.

- გამოიყენეთ შედარებით მარტივი სიტყვები და მოკლე, ლოგიკური წინადადებები.
- ილაპარაკეთ გარკვევით და არ ილაპარაკოთ ძალიან სწრაფად.
- ეცადეთ არ გამოიყენოთ სლენგი, აკრონიმები, ჟარგონი ან მითითებები, რომლებიც გაუგებარია სხვა კულტურის მატარებლისთვის.
- გაითვალისწინეთ, რომ იუმორი, რომელიც ხელს უწყობს დამაბულობის განმუხტვას, რთული სათარგმნია.
- გათვითნებობიერებული უნდა გქონდეთ, თქვენმა აქცენტმა, დიალექტმა და ლაპარაკის მანერამ როგორი გავლენა შეიძლება მოახდინოს თარჯიმნის მუშაობაზე.
- აკონტროლეთ, თუ რას ამბობთ და როგორ ამბობთ.

შემოწმება

ვალდებულნი ხართ უზრუნველყოთ, რომ თქვენი ნათქვამი გასაგებია იყოს ყველა მხარისთვის. თუ არ გესმით, რას ამბობს მეორე მხარე, სთხოვეთ, გაიმეოროს და/ან განმარტოს. თუ ფიქრობთ, რომ მეორე მხარემ ვერ გაიგო, რა თქვით, დარწმუნდით, რომ თარჯიმანს ესმის თქვენი. ამასთანავე, მოერიდეთ პირად საუბრებს თარჯიმანთან, თუ მეორე მხარემ არ იცის რაზე საუბრობთ.

კონტროლი

არ გადასცეთ პასუხისმგებლობა თარჯიმანს. მათ არ უნდა გააკეთონ განცხადება ან დასვან კითხვა თქვენი სახელით; ისინი მხოლოდ თარგმნიან რასაც ამბობთ. შეინარჩუნეთ პასუხისმგებლობა მოლაპარაკების მსვლელობაზე, მაგრამ, საჭიროების შემთხვევაში კითხეთ რჩევა თარჯიმანს.

კონფლიქტის ზონის სავსე სახელმძღვანელო სამოქალაქო მთარგმნელებისთვის/თარჯიმნებისთვის და მათი მომსახურების მომხმარებლებისთვის, ვერსია 3/2012